ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ზვიად ტყაბლაძე

ეგვიპტის არაბული რესპუბლიკისა და აშშ-ს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები XX ს-ის 70-90 - იან წლებში

სპეციალობა 07.00.03 - მსოფლიო ისტორიის

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 2006

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. **ალბერტ მენთეშაშვილი**

ექსპერტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. **გურამ მანჯგალაძე**

ოპონენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. **გურამ მანჯგალაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ნანა გელოვანი

დისერტაციის დაცვა შედგება: .....
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სადისერტაციო საბჭოს H.07.03. № .... სხდომაზე (380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი აუდიტორია ....)

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაგზავნილია 2006 წლის, …....

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, პროფესორი **გ. კუტალია.**

კვლევის საგანი: ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ეგვიპტის არაბული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები XX ს-ის 70-90-იან წლებში.

ჩვენი კვლევა არ შემოიფარგლება მხოლოდ ეგვიპტე-ამერიკის ურთიერთობებით. დიდი ადგილი აქვს მასში დათმობილი ეგვიპტის ურთიერთობებს საბჭოთა კავშირთან, ისრაელთან, სხვა არაბულ ქვეყნებთან და ასევე ეგვიპტის სამივე პრეზიდენტის საგარეო და საშინაო პოლიტიკას. განხილული არის არაბ-ისრაელის კონფლიქტი და სამშვიდობო პროცესის მსვლელობა.

თემის აქტუალობა: სადისერტაციო თემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც ეგვიპტის, ისე აშშ-სა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უახლეს ისტორიაში.

მასში შესწავლილია არა მარტო ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობები, არამედ გაანალიზებულია მათთან დაკავშირებული სხვა ქვეყნების ახლო აღმოსავლური პოლიტიკა და მათი მიზნები.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე არაბ-ისრაელის ყველა ომზე და განსაკუთრებით 1973 წლის ოქტომბრის ომის მსვლელობაზე, აგრეთვე იმაზე თუ რა როლი შეასრულა აშშ-მ და სსრკ-მა აღნიშნული კონფლიქტის მოგვარების საქმეში. დიდი ადგილი ეთმობა ეგვიპტის მეორე პრეზიდენტის ანვარ ას-სადათის საგრეო პოლიტიკის ანალიზს, რომელმაც მოუმზადა საფუძველი სსრკ-ს «წასვლას» არაბული აღმოსავლეთის ერთ-ერთი სრტატეგიული ქვეყნიდან – ეგვიპტიდან. შედეგად ისრაელსა და ეგვიპტეს შორის დამყარდა მშვიდობა და ეგვიპტემ აღადგინა თავისი ტერიტორიალული მთლიანობა.

სადისარტაციო ნაშრომში განხილულია ის სამშვიდობო პროცესი, რომლის დაწყებას ძირითადად საფუძველი ჩაუყარა კემპ-დევიდში ხელმოწერილმა შეთანხმებებმა აშშ-ს ინიციატივით.

მრავალი უცხოური წყაროების შესწავლამ, შესაძლებელი გახადა ეგვიპტის ისტორიის, აშშ-საბჭოთა კავშირის და ეგვიპტე-ისრაელის ურთიერთობების, მთლიანად ახლო აღმოსავლეთში განვითარებული პროცესების გაანალიზება და მათი ახლებურად შეფასება.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანს წარმოადგენს XX საუკუნის 70-90-იან წლებში ეგვიპტის არაბული რესპუბლიკისა და აშშ-ს შორის განვითარებული ურთიერთობების ობიექტური განხილვა და მის საფუძველზე სწორი პასუხის გაცემაზე კითხვაზე, რატომ შეიცვალა ეგვიპტის საგარეო-პოლიტიკური კურსი 70-იან წლების დასაწყისში და რამ გამოწვია საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროებიდან ეგვიპტის გამოსვლა და მისით ჩანაცვლება აშშ-ით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენს სამამულო ორიენტალისტიკაში ეგვიპტის არაბული რესპუბლიკისა და აშშ-ს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების პირველ კომპლექსურ გამოკვლევას, თანამედროვე ეგვიპტის საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარების სრულ და ობიექტურ მიმოხილვას.

საკვლევად აღებული საკითხის ჯეროვნად შესასწავლად საჭირო გახდა როგორც არაბული და კერძოდ ეგვიპტის არაბულ რესპუბლიკაში გამოცემული

ისტორიული წყაროებისა, ისე დასავლეთსა და რუსეთში გამოცემული სხვადასხვა წყაროების, გამოკვლევებისა და მემუარების შესწავლა.

უცხოენოვანი წყაროებისა და ლიტერატურის გაცნობამ საშუალება მოგვცა მრავალი უცნობი ფაქტისათვის მოგვეფინა ნათელი. ასე მაგალითად, საბოლოოდ დადგინდა, რომ ე.წ. «დაუძლურების ომში» ისრაელის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა საბჭოთა სამხერდო რეგულარული ძალები, ეგვიპტის საჰაერო და სახმელეთო ტერიტორიის დაცვის მიზნით.

ასევე ნათელი გახდა, რომ ეგვიპტესა და ისრაელს შორის მშვიდობის დამყარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ აშშ-ს დახმარებით. დადგინდა ის მიეზეზი, რამაც გადააწყვიტინა სადათს შეეცვალა თავისი წინამორბედის პოლიტიკა. გამოიკვეთა ის კრიტიკული ზღვარი რომელსაც მიაღწია 1973 წლის ოქტომბრის ომში ზესახელმწიფოთა შორის ურთიერთობებმა, რომლის დროს მთელი მსოფლიო ბირთვული ომის დაწყების ზღვარზე იდგა.

მეცნიერული სიახლეა ისიც, რომ ახალი მასალების გამოვლენამ და შესწავლამ შესაძლებელი გახადა ამერიკის, სსრკ-ს, ეგვიპტის, ისრალის პოლიტიკური ლიდერების ახლო აღმოსავლური ინტერესების ახლებურად განხილვა. აღნიშნული მასალები 30 წელია ინახებოდა გრიფით «სრულიად საიდუმლო» შეერთებული შტატების სახელმწიფო არქივებში. მათი განხილვა ნათელს ჰფენს ეგვიპტე-ამერიკის, საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს ურთიერთობებს, რომელიც მომავალში დაეხმარება ქართველ ორიენტალისტებს და პოლიტოლოგებს უფრო ღრმა ანალიზი გაუკეთონ ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებს.

ისევ წამოიჭრა გამალ აბდ ან-ნასერის გარდაცვალების და ასევე ანვარ ას-სადათის მკვლელობასთან დაკავშირებული ბურუსით მოცული საკითხების განხილვა.

უცხოური წყაროების ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ნათელი გახდა აშშ-ს დამსახურება და წვლილი ეგვიპტესა და ისრაელს შორის მშვიდობის დამყარების საქმეში და ამას გარდა აშშ-ს, საბჭოთა, არაბი და ისრალის პოლიტიკური ლიდერების ახალი, მანამდე უცნობი ბიოგრაფიული მონაცემების და მათი პოლიტიკური მიზნების განხილვა.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო: ნაშრომი მოიცავს XX ს. 50-იანი და XXI ს. დასაწყისის პერიოდს და ეტაპობრივად განიხილავს ეგვიპტის სამივე პრეზიდენტის მოღვაწეობას, მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მიზნებს, აშშ-ს, სსრკ-ს, ისრაელის პოლიტიკას და ეგვიპტესთან დამოკიდებულებას. ყურადღებითაა განხილული ისრაელის სახელმწიფოს შექმნიდან დაწყებული არაბ-ისრაელის შეიარაღებული კონფლიქტები და მათი ურთიერთობები XX ბოლომდე, ასევე ეტაპობრივადაა განხილული სამშვიდობო პროცესის მსვლელობა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს XX საუკუნის აშშ-სა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის, მახლობელი აღმოსავლეთის, კერძოდ არაბული აღმოსავლეთის და ისრაელის ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევაში, ხოლო სტუდენტებს საშუალებას მისცემს ქართულად გაეცნონ მათთვის უცნობ წყაროებსა და ლიტერატურას.

ნაშრომის აპრობაცია: სადისერტაციო თემა დამტკიცებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (2000 წ. 15 მარტი, ოქმი № 5)

დისერტაცია მომზადდა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი

ისტორიის კათედრაზე. ნაშრომის საბოლოო განხილვა მოხდა ხსენებული კათედრის თანამშრომელთა ერთობლივ სხდომაზე (2005 წ. 17 ნოემბერი, ოქმი № 4)

პუბლიკაციები: სადისერტაციო ნაშრომის ძირითად შედეგებს მიეძღვნა ოთხი პუბლიკაცია (იხ. გამოქვეყნებული შრომების სია).

დისერტაციის შინაარსი: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვის, ხუთი თავის, დასკვნის, გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სიისაგან.

შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, მისი სიახლე, განსაზღვრულია კვლევის ობიექტი და საგანი. დადგენილია წყაროების სანდოობა, მათი მონაცემების სარწმუნოობა, ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა.

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა: დისერტაციაში გამოყენებული გვაქვს როგორც არაბული, ისე ევროპულ ენებზე არსებული წყაროები, მონოგრაფიები, სტატიები; აღმოსავლური, დასავლური და რუსული პერიოდული პრესის მასალები, აგრეთვე ინტერნეტში მოძიებული სხვადასხვა სახელმწიფოების სამეცნიერო-კვლევითი, ანალიტიკური ცენტრების მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა საინფორმაციო მასალა; დიდი დახმარება გაგვიწია არაბულ და ევროპულ ენებზე მასმედიის ვებ-გვერდებზე განთავსებულმა ინფორმაციამ.

არაბულენოვანი წყაროებიდან აღსანიშნავია ახლო აღმოსავლეთში ცნობილი პუბლიცისტის, ჟურნალისტის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ეგვიპტელ მუჰამად ჰასანაინ ჰაიქალის რამდენიმე შრომა, რომლებიც სამამულო ორიენტალისტიკაში ნაკლებად არის ცნობილი და გამოყენებული. ჰაიქალის შრომები იმითაც არის საინტერესო, რომ ავტორს ეკავა სხვადასხვა მნიშვნელოვანი თანამდებობები ეგვიპტის მთავრობაში, იყო არამარტო დაახლოებული ეგვიპტის ორ უკანასკნელ პრეზიდენტთან, არამედ უშუალო მნახველი და მონაწილე საკვლევად აღებული პერიოდის ეგვიპტეში მიმდინარე ყველა პოლიტიკური მოვლენებისა. მისი შრომებიდან ყურადსაღებია პირველ რიგში სამტომეული, რომელიც ეხება არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის მიმდინარე საიდუმლო მოლაპარაკებებს და შეთანხმება-გარიგებებს. აღნიშნული სამტომეული ქრონოლოგიურად მოიცავს XIX ს. ბოლოსა და XX ს. 90-იანი წლების პერიოდს. ჩვენთვის დიდი ინტერესი გამოიწვია მეორე და მესამე წიგნებმა: «წიგნი მეორე _ ომისა და მშვიდობის ქარცეცხლში. საიდუმლო მოლაპარაკებები არაბებსა და ისრაელს შორის» და «წიგნი მესამე _ სამშვიდობო ილუზია _ ოსლო _ მის წინ და მის შემდეგ. საიდუმლო მოლაპარაკებები არაბებსა და ისრაელს შორის». ჰაიქალის წიგნებიდან ასევე აღსანიშნავია: «73-ის ოქტომბერი. იარაღი და პოლიტიკა», რომელშიც სრულყოფილად არის აღწერილი ეგვიპტე-ისრაელს შორის უკანასკნელი დიდი კონფლიქტი, აშშ-სა და საბჭოთა კავშირის როლი აღნიშნულ კონფლიქტში. წიგნი საინტერესოა იმითაც, რომ ავტორს მოყავს მასში მეტად საინტერესო, შეიძლება ითქვას უნიკალური დოკუმენტური მასალები, სადაც მოთავსებულია ეგვიპტის, ისრაელის, აშშ-სა და სსრკ-ს პოლიტიკური ლიდერებისა და სამხედრო პირების საუბრის ჩანაწერები, მათ შორის მიმდინარე მოლაპარაკებები, დადებული საიდუმლო შეთანხმებები და ა.შ.

აშშ-სა და ეგვიპტეს შორის ურთიერთობების ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროა ცნობილი ეგვიპტელი პოლიტიკური მოღვაწის, გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს ღალის წიგნი «ეგვიპტის გზა იერუსალიმში», რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი სადათის პოლიტიკური მიზნები და მისი იერუსალიმში ისტორიული ჩასვლის შედეგები.

სწორედ ამ ვიზიტით საფუძველი ჩაეყარა ეგვიპტესა და ისრაელს შორის მომავალ სამშვიოდბო მოლაპარაკებებს.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ იმ პოლიტიკოსების მემუარები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ეგვიპტის ხელმძღვანელ პირებთან და განსაკუთრებით ეგვიპტის ორ უკანასკნელ პრეზიდენტთან: ანვარ სადათთან და ჰოსნი მუბარაქთან. მათ შორის მნიშვნელოვანია ეგვიპტელი პუბლიცისტის და ჟურნალისტის მაჰმუდ ფავზის ოთხტომეული «ეგვიპტის მმართველები», რომელიც შეიცავს საინტერესო ინფორმაციას ეგვიპტის XX ს-ის ყველა ხელმძღვანელის შესახებ. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ეს პუბლიკაციები აღიარებულ იქნა 1985, 1987, 1989 წლებში ეგვიპტეში საუკეთესო ჟურნალისტურ პუბლიკაციებად, ხოლო 1993 წ. ისინი ითარგმნა ფრანგულ ენაზე.

ინტერესს მოკლებული არ არის ეგვიპტის საზოგადო მოღვაწის მუსა საბრის წიგნი: «სადათი, ისტორიული სინამდვილე», რომელშიც აღწერილია სადათის მკვლელობის მიზეზები და შეფასებულია მის მიერ გატარებული პოლიტიკა.

ფასდაუდებელია ეგვიპტის ყოფილი დიპლომატის ასმათ აბდ ალ-მაჯიდის წიგნი «წარმატებებისა და მარცხის დრო», რომელიც ეხება არაბული სამყაროსა და საერთაშორისო დიპლომატიას. სხვა არაბი ავტორებიდან აღსანიშნავია აბდ ალ-ლაჰ იმამის «მოგონებები სადათის შესახებ» და «სინამდვილე სადათის შესახებ, რომელმაც გაუსწრო წინ თავის ეპოქას», სამირ ‘აბდუს «სადათის ფსიქოანალიზი», დ. აბდ ალ-ჰამიდ რამადანის «ეგვიპტე სადათის პერიოდში», იუსუფ ჰილალის «სადათი. მკვლელობის საიდუმლო ოპერაცია», აჰმად ბაჰა‘ ად-დინის «ჩემი დიალოდგები სადათთან», აბდ ას-სითარ ატ-ტავილას «სადათი, რომელსაც ვიცნობდი» და ‘ადილ ჰამუდას «სადათის ბოლო დღეები» და სხვა. რაც შეეხება ეგვიპტის უახლესი ისტორიის ბოლო მონაკვეთს (მუჰამად ჰოსნი მუბარაქის მმართველობა), ამ პერიოდიდან აუცილებელია გამოვყოთ არაბი საზოგადო მოღვაწეების შემდეგი თხზულებები: ავტორთა კოლექტიური კრებული «მუბარაქი და არაბული სამყარო», აჰმად აშ-შაიბის «ჩემი მეგობარი პრეზიდენტი» და მაქრამ მუჰამად აჰმადის «საუბრები პრეზიდენტთან». პირველი წიგნი ეხება ჰოსნი მუბარაქის დამსახურებას ეგვიპტის რესპუბლიკის არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში დაბრუნების საქმეში, ხოლო დანარჩენ წიგნებში აღწერილია მისი პოლიტიკური ცხოვრების მნშვნელოვანი ეტაპები. სადისერტაციო შრომისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი მასალების გაცნობას, რომლებშიც გაშუქებულია თანამედროვე ეგვიპტეში მიმდინარე ყოველდღიური პოლიტიკური მოვლენები. კერძოდ, აქ იგულისხმება ჩვენს მიერ გამოყენებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში პერიოდულად არაბული ქვეყნებიდან შემოსული სხვადასხვა საინფორმაციო მასალები, განსაკუთრებით, ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოს «ად-დიბლუმასის» უკანასკნელი წლების ნომრები, რომლებშიც მოთავსებულია ინფორმაცია თანამედროვე ეგვიპტის საგარეო-პოლიტიკური მიზნების შესახებ.

ამ ჟურნალის გარდა გამოვიყენეთ არაბულ პერიოდულ პრესაში და ბეჭდვით ორგანოებში გამოქვეყნებული მასალები ეგვიპტის გავლენიანი გამომცემლობა «ათ-თაჰრირის» გაზეთი «ალ-გუმჰურია»-ში, კაიროს ანალიტიკური ცენტრის «ალ-აჰრამის» ინერნეტ გამოცემა _ “Al-Ahram Weekly”. მეტად საინტერესო ინფორმაცია მოვიძიეთ ეგვიპტური საერთაშორისო პოლიტიკური ჟურნალის «ას-სიასა ად-დავლიას» ცალკეულ ნომრებიშიც. ნაშრომში გამოვიყენეთ აგრეთვე საინფორმაციო მასალები, მოპოვებული სხვა არაბული და ევროპული

ქვეყნების არაბულენოვანი საინფორმაციო საშუალებებიდან, კერძოდ როგორიცაა დიდი ბრიტანეთის «ალ-კუდს ალ-არაბი», საუდის არაბეთის «აშ-შარკ ალ-ავსატ», "Arab News" და ა.შ. არაბული პერიოდული პრესის გარდა მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ეგვიპტის სახელმწიფო ტელევიზიის ფოტო და ვიდეო მასალებმაც, ასევე კატარის ცნობილი სატელევიზიო არხის «ალ-ჯაზირას» ოფიციალურმა ვებ-გვერდმა.

ყველა ამ მასალის დიდი ნაწილი ჩვენს მიერ მოპოვებულ იქნა ეგვიპტის არაბულ რესპუბლიკაში 1997-98 წლებში სასწავლებლად ყოფნისას და მოგვიანებით კიდევ პერიოდულად ეგვიპტეში სტაჟირების დროს 2002/2003 და 2005 წლებში.

დასავლეთის ქვეყნების პოლიტოლოგების ნაშრომებიდან პირველ რიგში გამოვყოფდით ცნობილი ამერიკელი მკვლევარისა და პოლიტიკური მოღვაწის უილიამ კვანდტის წიგნს (William B. Quandt – The United State and Egypt. A Brookings Institution Book. The American University in Cairo Press), რომელიც ეხება აშშ-ეგვიპტის ურთიერთობებს 80-90-იან წლებში, აშშ-ს პლიტიკას ახლო აღმოსავლეთში და ეგვიპტე-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებს. აღსანიშნავია ასევე მისი მეორე ნაშრომი "The Middle East. Ten Years after Camp David. The Brookings Institution, Washington D.C."

საინტერესო კვლევა-ძიება ჩაატარა მეორე ამერიკელმა მკვლევარმა უილიამ ბერნსმა (William J. Berns – Economic Aid and American Policy toward Egypt, 1955-1981. State University of New York Press), ისევე როგორც ჯონ უოტერბერმა (John Waterbury – The Egypt of Nasser and Sadat. The Political Economy of Two Regimes. Princeton University Press). სხვა ავტორებიდან გამოვიყენეთ არტურ გოლდშმიტის (Arthur Goldschmidt, Jr. – Modern Egypt. Westview Press, Colorado & Hutchinson, London) და ჯოზეფ ნაის წიგნი (Joseph S. Nye, Jr. – Understanding International Conflicts. Harvard University).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ისეთმა შრომებმა, რომლებშიც განხილულია ეგვიპტის, ისრაელისა და პალესტინის საკითხები. მათ შორის აღსანიშნავია ამოს პერლმიუთერის (Amos Perlmutter – The Life and Times of Menachem Begin. Garden City, New York), აურელ ბრაუნის (Aurel Braun – The Middle East in Global Strategy. Westview Press, Colorado & Mansell Publishing Limited, London), ზეევ შიფის (Ze`ev Schiff – A History of the Israel Army, 1874 to the Present. London), დავიდ ჩანოფის (Warrior. The Autobiography of Ariel Sharon by Ariel Sharon with David Chanoff. A Touchstone Book. New York, London), ეჰუდა ლუკასის (Yehuda Lukacs – Documents on the Israeli-Palestinian Conflict, 1967-1983. Cambridge University Press), რაიმონდ ბეიკერის (Raymond William Baker – Sadat and After. Harvard University Press), ეჰუდ ლუკასის და აბდ ალ-ლაჰ ბატაჰის (Yehuda Lukacs and Abdalla M. Battah – The Arab-Israeli Conflict. Westview Press, London), დონ პერეცის (Don Peretz – The Middle East Today. New York, London), ჰირშ გუდმენისა და სეთ კარუსის (Hirsh Goodman, W.Seth Carus – The Future Battlefield and the Arab-Israeli Conflict. Transaction Publishers, U.S.A. and U.K.), როჯერ ოუენის (Roger Owen – State, Power and Politics in the Making of the Modern Middle East), მიხაილ როსკინის და ნიკოლას ბერის (Michael G.Roskin and Nicholas O.Berry – The New World of International Relations, Prenticle Hall Inc., Simon&Schuster), ჯეიმს ბილისა და რობერტ სპრინგბორგის (James A. Bill and Robert Springborg – Politics in the Middle East. Longman, New York, Madrid), ჯ. ბეილისის და

ს.სმიტის (J.Baylis and S. Smith., The Globalization of World Politics. An Introduction to International Relations. Second Edition. OXFORD University Press).

სადისერტაციო თემის დამუშავებისას დიდი დახმარება გაგვიწია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების _ რიჩარდ ნიქსონის, ჯიმი კარტერისა და რონალდ რეიგანის ჩანაწერებისა და მოგონებების პუბლიკაციებმა.

საკვლევად აღებული პრობლემის დამუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამერიკული და ევროპული კვლევითი ინსტიტუტების და სტრატეგიული ცენტრების მასალის გაცნობამ, რომლებიც ასახავენ თანამედროვე ეგვიპტის ურთიერთობებს აშშ-სთან. კერძოდ, “The Washington Institute for Near East Policy”, “The Middle East Quarterly”, “Policy Review”, “Middle East Review of International Affairs (MERIA)”, “Congressional Research Servise. The Library of Congress (CRS)”, “The Centre for Defence & International Security Studies (CDISS)”, “The Washington Quarterly”, “EIR International”, “THE STRATFOR”, “The Foreign Affairs”, «The American Foreign Policy Council”, “Foreign Policy in Focus (FPIF)”, “The Center for Defense Information (CDI)”, “The Centre for Defence & International Security Studies (CDISS)”, «FOREIGN POLICY”, «THE GLOBAL SECURITY”, “Federation of American Scientists”. ასევე პოლიტიკურმა ჟურნალებმა და გაზეთებმა “THE WALL STREET JOURNAL (WSJ)”, “TIME”, “The New York Times”, “The Washington Post”, “The Christian Science Monitor”, “Newsweek”, “In The National Interest”, “The Middle East Research and Information Project (MERIP)”. დახმარება გაგვიწია ისრაელისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებში კვლევით-ანალიტიკურმა ცენტრებმა. მათ შორის აღსანიშნავია “Jaffe Center for Strategic Studies Tel Aviv University”, “MAOF Analytical Group”, “Jewish Virtual Library”; გაზეთმა “The Jerusalem Post” და ა.შ. ევროპული ინგლისურენოვანი ანალიტიკური ხასიათის ჟურნალებიდან აღსანიშნავია “The Economist”, “The Financial Times”, “The Times”, “Daily Telegraph”, “The International Herald Tribune”, “Guardian Unlimited” და დიდი ბრიტანეთის სატელევიზიო გიგანტის “BBC NEWS” ვებ-გვერდი.

გარდა ამისა დიდი დახმარება გაგვიწია ფრანგულენოვანმა კვლევითი ცენტრებისა და პერიოდული პრესის მასალებმა, კერძოდ, გავლენიანი “Le Monde Diplomatique”, “Le Figaro”, “L’Express”.

გერმანულენოვანი მასალებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ისეთმა ჟურნალ-გაზეთებმა, როგორიცაა “Süddeutsche Zeitung”, “Die Welt”, “Die Spiegel” და ცნობილი გერმანული საინფორმაციო არხის “DEUTSHE WELLE”-ის ვებ-გვერდზე გაშუქებულმა სტატიებმა. იტალიური ჟურნალებიდან გამოვიყენეთ “Corriere della Sera”, “La Stampa”.

სტატისტიკური მონაცემებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების დაზუსტების მიზნით ფართოდ გამოვიყენეთ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) და რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის (CBP) ოფიციალური ვებ-გვერდები და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტთან არსებული ორგანო “Washington Profile”.

1973 წლის კონფლიქტის პერიოდში განვითარებულ მოვლენების კვლევა-ძიებისათვის მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აშშ-ს ეროვნული უშიშროების არქივში დაცულმა მასალებმა, რომელიც პირველად შეგვაქ ქართულ აღმოსავლურ ისტორიოგრაფიაში და ხელი შეუწყო ჩვენი სადისერტაციო თემის შესახებ პრობლემატიკის განხილვას. საქმე ეხება აშშ-ს პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში აღნიშნულ პერიოდში, მოიცავს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის საიდუმლო მოლაპარაკებებს, მიმოწერას, სტენოგრამებს, ეგვიპტის, ისრელის, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს ლიდერების შორის საიდუმლო შეთანხმებებს და

გადაწყვეტილებებს კონფლიქტის მსველეობის პერიოდში. დოკუმენტები პრველად გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის ორი წლის უკან და გამოქვეყნდა ინტერნეტში ეროვნული უშიშროების ოფიციალურ ვებგვერდზე ულიამ ბურის რედაქტირებით (William Burr, The October War and U.S. Policy, U.S. NATIONAL SECURITY ARCHIVE). იგი აღწერს, რომ ოქტომბრის ომის მნიშვნელოვანი დეტალების მცოდნეები, მკვლევარები და ანალიტიკოსები, როგორიცაა რიჩარდ ნედ ლებოუა, ჯენსი გროს სტეინი, ულიამ ბ. კვანდტი და კენეტ ვ. სტეინი, სხვებთან ერთად გამოიკვლიეს აღნიშნული მასალები, გამოიძიეს საკვანძო საკითხები და მოვლენები, ეგვიპტისა და სირიის მიზნები, ამერიკისა და ისრაელის დაზვერვის შეცდომები, მოსკოვისა და ვაშინგტონის როლი კონფლიქტის გაღვივებსა და შეწყვეტაში, და საკვანძო პირების _ კისინჯერისა და სადათის დიპლომატიურმა ძალისხმევამ. გამოვიყენეთ ამერიკის გამოჩენილი პილიტიკური და საზოგადო მოღვაწის ჰენრი კისინჯერის წიგნები და პუბლიკაციები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ეგვიპტისა და აშშ-ს შორის ურთიერთობების გამყარებაში და ეგვიპტე-ისრაელის მოლაპარაკებათა წარმართვაში. საკვლევ საკითხთა გასაშუქებლად განსაკუთრებით ღირებულია აგრეთვე გაეროს უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც წლების განმავლობაში ანელებდნენ ახლო აღმოსავლეთში არსებულ დაძაბულ ვითარებას. აღნიშნული მასალები განთავსებულია გაეროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ასევე საინტერესო და სასარგებლო იყო ინტერნეტში გამოქვეყნებული სხვა საერთაშორისო თუ სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების, მაგალითად NATO-ს პუბლიკაციების გაცნობა.

საკვლევი თემის ნათლად წარმოსაჩენად განვიხილეთ ეგვიპტესა და ისრაელს შორის კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები, შევისწავლეთ და გავაანალიზეთ მათ შორის არსებული ხელმოწერილი შეთანხმებები და ხელშეკრულებები, რომელთა მოძიება მოხერხდა აღნიშნული სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა სამინისტროების არქივებსა და ოფიციალურ ვებ-გვერდებზე. გარდა ამისა ოფიციალური ინფორმაციის მოპოვებაში დაგვეხმარა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის ოფისის, რუსეთის საგარეო უწყების, ეგვიპტის პრეზიდენტის, ისრაელის პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის (ქნესეთის) ოფიციალური ვებ-გვერდი. აღსანიშნავია ის წვლილი, რომელიც ეგვიპტის ისტორიის კვლევაში შეიტანეს რუსმა აღმოსავლეთმცოდნეებმა. საბჭოთა კავშირის აღმოსავლური პოლიტიკის, მისი ლიდერების ეგვიპტისა და აშშ-ს პრეზიდენტებთან შეხვედრებისა და საუბრების შესახებ მასალებს გავეცანით ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნის, პოლიტიკური მოღვაწის, აკადემიკოს ევგენი პრიმაკოვის ნაშრომების მთელ სერიის მეშვეობით, რომელთა შორის გამოირჩევა «История одного сговора (Ближневосточная политика США в 70-е начале 80-х годов)».

სადისერტაციო ნაშრომისათვის მნიშვნელოვანი მასალების მოპოვებაში ასევე დაგვეხმარა ა. კნიაზევის წიგნი «Египет после Насера, 1970-1981» და მისმა პუბლიკაციამ «К вопросу о создании в Египте новой правящей партии (1971-1978). Арабские страны: история и современность»; ა. ოსიპოვის ნაშრომი «США и арабские страны. 70-е начале 80-х годов», ა. ეგორინის მონოგრაფია «Египет нашего времени», მოსკოველი აღმოსავლეთმცოდნეს ბ. სეირანიანის მონოგრაფიებმა და სტატიებმა, მათ შორის «Хосни Мубарак.Начало политической деятельности».

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კიდევ იმ პოლიტიკურ მოღვაწეთა

გამოკვლევები და მოგონებები, რომლებსაც უშუალო კავშირი ჰქონდათ საბჭოთა კავშირის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკასთან და ურთიერთობებთან არაბულ ქვეყნებთან. ამ მხრივ საინტერესოა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გრომიკოს მემუარები: « Памятное. Книга Вторая». საინტერესო მასალას შეიცავს რუსული პერიოდიკაც, თანამედროვე რუსული ანალიტიკური ცენტრების, სამეცნიერო ჟურნალებისა და მასმედიაში გამოქვეყნებულმა მკვლევართა და ჟურნალისტთა ნაშრომებმა, სტატიებმა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცნობილი სამეცნიერო-ბეჭდვითი ორგანოს «Азия и Африка сегодня»-ში, «Международная жизнь»-სა და «Новое Время»-ში გამოქვეყნებული სტატიებმა და მასალებმა, რომლებიც დაგვეხმარა შეგვექმნა საერთო წარმოდგენა თანამედროვე რუსეთის ახლო აღმოსავლური პოლიტიკის შესახებ.

ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სადისერტაციო ნაშრომისათვის ჰქონდა რუსული ანალიტიკურ-პოლიტიკური ცენტრის _ «Институт изучения Израиля и Ближнего Востока»-ს გვერდებზე გამოქვეყნებულ რუსი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან სხვა მკვლევართა და მეცნიერთა პუბლიკაციებს, რომელთა მეშვეობით სრული წარმოდგენა შეგვექმნა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელის მიმართ რუსული საზოგადოებრივი აზრის შესახებ ახლო აღმოსავლეთში, რუსეთის და დასავლეთ ქვეყნების მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკის შესახებ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში.

სხვა სტრატეგიული კვლევითი ცენტრების ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული მასალებიდან აღსანიშნავია “GLOBAL AFFAIRS”-ის და “Agentura”-ს პუბლიკაციები. ინტერესს მოკლებული არ არის რუსეთის პერიოდული პრესის ინფორმაციაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო სააგენტოს «ИТАР-ТАСС»-ის ბიულეტენში _ «Компас»-ში მოთავსებული ანალიტიკური სტატიებიც. სხვა ჟურნალ-გაზეთებიდან გამოვყოფდით «Коммерсант-Ъ»-ის, «Время Новостей»-ს, «Независимая Газета»-ს, «Известия»-ს, ასევე “Inosmi”-სა და “Inopressa”-ს ვებ-გვერდებზე განთავსებულ პუბლიკაციებს. ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ვითარებისა და აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების შესწავლაში მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია თსუ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახლო და უახლესი ისტორიის კათედრის მიერ უკანასკნელ წლებში ქართულ ენაზე გამოცემულმა სამეცნიერო კრებულებმა. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია _ «საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია» I-ში (თსუ,თბ.,2004) გამოქვეყნებული ზაზა მენთეშაშვილის სტატია: «შარმ აშ-შაიხი და კემპ-დევიდში მოლაპარაკებათა სამიტები»; კრებულში «ახლო და შუა აღმოსავლეთი» I-ში, (თსუ,თბ.,2005) გამოქვეყნებული მისი მეორე სტატია «ისრაელის პოლიტიკური განვითარების თავისებურებები»; კოლექტიური კრებული «აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები» I (თსუ,თბ.,1993), რომელშიც მოთავსებულია ალბერტ მენთეშაშვილის ნაშრომი _ «სუნიტური ფუნდამენტალიზმი და ექსტრემიზმი თანამედროვე მაშრიკში» და ლეილა კიკნაძის «მუსლიმი ექსტრემისტები და ქრისტიანი კოპტები თანამედროვე ეგვიპტეში».

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ალ.მენთეშაშვილის გამოკვლევა «XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები» (თსუ, 2005), სადაც სხვებთან ერთად შესწავლილია ეგვიპტის სამივე პრეზიდენტის და წარმოშობით ეგვიპტელი ბ. ბ. ღალის ცხოვრება და მოღვაწეობა. ასევე არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ის დახმარება რომელიც გაგვიწია საქართველოს საგარეო

საქმეთა სამინისტროს «საგარეო პოლიტიკისა, კვლევისა და ანალიზის ცენტრის» პუბლიკაციებმა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოდან მოწოდებულმა ყოველდღიურმა საინფორმაციო მასალებმა, სადაც მოცემულია თანამედროვე ეგვიპტის პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების ფართო ანალიზი. დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ჩვენმა პირადმა საუბრებმა, როგორც კაიროს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, ასევე ეგვიპტის საგარეო პოლიტიკით დაინტერესებულ პირებთან და პოლიტოლოგებთან.

პირველი თავი:
ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური კურსი XX საუკუნის 60-70-იან წლებში

პირველი თავი _ «ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური კურსი XX საუკუნის 60-70-იან წლებში» ორი ქვეთავისაგან შედგება: ა) პრეზიდენტ ნასერის საგარეო პოლიტიკა ბ) ანვარ სადათის მოსვლა ხელისუფლების სათავეში და ცვლილებები საგარეო-პოლიტიკურ კურსში. პირველი ქვეთავი «პრეზიდენტ ნასერის საგარეო პოლიტიკა» ეხება სამხედრო გადატრიალების შედეგად, ხელისუფლების სათავეში «თავისუფალ ოფიცერთა» ორგანიზაციის ჯგუფის მოსვლას, ეგვიპტის დიდი სახელმწიფო მოღვაწის გამალ აბდ ან-ნასერის საქმიანობას და მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაში, რამაც ეგვიპტე არაბული აღმოსავლეთის გავლენიან სახელმწიფოდ გადააქცია. გამალ აბდ ან-ნასერმა, როგორც მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობის ერთ-ერთმა ინიციატორმა, მოიპოვა საყოველთაო აღიარება სოციალისტური ბანაკის და განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა თვალში. განხილულია საბჭოთა კავშირთან ეგვიპტის დაახლოების და მასთან პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ და სხვადასხვა სფეროებში მჭიდრო თანამშრომლობის შედეგები, რამაც ხელი შეუწყეს აშშ-ს გავლენის შემცირებას არაბულ აღმოსავლეთში. ეგვიპტეში შექმნილი ასეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე, ახლო აღმოსავლეთში არაბეთ-ისრაელის ახალი კონფლიქტის ესკალაცია დაიწყო. კერძოდ, ეს იყო 1967 წლის რიგით მესამე ე.წ. «ექვსდღიანი» არაბ-ისრაელის ომი, რის შედეგად ისრაელმა 60 ათ. კვ. კმ. მეტი არაბული ტერიტორიები მიიერთა, მათ შორის _ ეგვიპტის სინას ნახევარკუნძული და ღაზას სექტორი, იორდანიის კონტროლის ქვეშ მყოფი პალესტინის ტერიტორია მდ. იორდანის დასავლეთ სანაპიროზე და სირიის სასაზღვრო რაიონი _ გოლანის მაღლობები. პირველ ქვეთავში განხილულია: ამ კონფლიქტის დაწყების მიზეზები; არაბული ქვეყნების პოლიტიკა ისრაელის მიმართ; აშშ-სა და სსრკ-ს შორის მიმდინარე დიპლომატიური ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში გავლენის მოპოვებისათვის; პრეზიდენტ ნასერის მიერ ეგვიპტეში სოციალური გარდაქმნებით დანერგვით გამოწვეული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გართულება 70-იანი წლების დასაწყისში.

პირველი თავის მეორე ქვეთავი «ანვარ სადათის მოსვლა ხელისუფლების სათავეში და ცვლილებები საგარეო-პოლიტიკურ კურსში» ეძღვნება ეგვიპტის მეორე პრეზიდენტის მუჰამად ანვარ ას-სადათის პოლიტიკური კარიერის განხილვას და, რაც მთავარია, ეგვიპტის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანას,

ნასერის კურსის არსებით შეცვლას. ჯერ კიდევ ვიცე-პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდეგ სადათმა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში თავისი საყრდენი შექმნა ისე, რომ ნასერის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მას ეგვიპტური საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერდა. მაგრამ სადათი ჯერ არ იწყებდა მთლიანად თავისი პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას ვაშინგტონზე. ამას გააჩნდა ორი მიზეზი: სსრკ იყო ერთადერთი მომარაგებელი შეიარაღებისა, ხოლო მშვიდობიანი შეთანხმებისათვის ისრაელთან პირობები ჯერ მომწიფებული არ იყო.

მეორე თავი:
აშშ-სა და საბჭოთა კავშირის სტრატეგია 1973 წლის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში

ნაშრომის მეორე თავი _ «აშშ-სა და საბჭოთა კავშირის სტრატეგია 1973 წლის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში» სამი ქვეთავისაგან შედგება: ა) აშშ-სა და სსრკ-ს ინტერესების დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში 60-70-იანი წლების დასაწყისში ბ) კონფლიქტის შეჩერების ზესახელმწიფოთა მცდელობები გ) ომის შედეგები.

პირველი ქვეთავი ეხება 1973 წლის ოქტომბრის ომის ზოგად მიმოხილვას, რომელიც იყო რიგით მეოთხე ომი არაბებსა და ებრაელებს შორის. ეს კონფლიქტი არაბთა ისტორიოგრაფიაში «რამადანის» (იგი დაემთხვა ისლამური მთვარის კალენდრის რამადანის თვეს), საბჭოთა (რუსულ) ისტორიოგრაფიაში «ოქტომბრის ომი»-ს, ხოლო დასავლეთისა და ისრაელისათვის «განკითხვის დღის» («იომ ქიფურის») სახელით არის ცნობილი (იგი ასევე დაემთხვა ებრაელთა რელიგიური დღესასწაულის _ განკითხვის დღეს).

პირველ რიგში, 1973 წლის ომი (6-24 ოქტომბერი), სხვა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებთან შედარებით გამოირჩეოდა თავისი დიდი მაშტაბებით. ისრაელის წინააღმდეგ შექმნილი არაბული კოალიციის მთავარი წევრის ეგვიპტის გარდა, ომში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სირიის არაბულ რესპუბლიკამ, იორდანიამ, ალჟირმა, ერაყმა, ქუვეითმა, მაროკომ, თუნისმა, სუდანმა და საუდის არაბეთმა, პაკისტანმა, ჩრდილოეთ კორეამ, კუბამ, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ, რომ არაფერი ვთქვათ კონფლიქტის მთავარ სპონსორებზე, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირზე, რომლებსაც ერთი შეხედვით, პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღია ომში, მაგრამ მათ აქტიურმა ჩარევამ გადაწყვიტა ომის მსვლელობის ძირითადი შედეგები.

ამ თავის მეორე და მესამე ქვეთავში აღნიშნულია, რომ «განკითხვის დღის» ომის ძირითადი ინიციატორი იყო პრეზიდენტი ანვარ სადათი, რომელმაც გადაწყვიტა: ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ეგვიპტის პოზიციების გამყარება; ისრაელისათვის სამხედრო-პოლიტიკური ძალის დემონსტრირება და ებრაელთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნება; მსოფლიოში ეგვიპტის, როგორც ძლიერი ქვეყნის პრესტიჟის აღდგენა. სადათი გრძნობდა, რომ ისრაელთან ომი აღქმული იქნებოდა არაბული ქვეყნების ხალხთა მიერ, როგორც სამართლიანი ბრძოლა არაბული ინტერესების აღსადგენათ.

კონფლიქტის განხილვა ნათელს ჰფენს იმას, რა ინფორმაციას ფლობდენ მხარეები ომის დაწყების წინ. ისრაელის მმართველები გრძნობდნენ, რომ 1967 წ. ომი უკანასკნელი არ იყო და არაბული ქვეყნებიდან მოსალოდნელი იყო თავდასხმა, ამიტომ ისინი ინტენსიურად ემზადებოდნენ თავდაცვისათვის. სირიამ და ეგვიპტემ საბჭოთა კავშირის დახმარებით, აღადგინეს და აამაღლეს 1967 წ. ომის შედეგად

განადგურებული სამხედრო პოტენციალი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ე.წ. «ოპერაცია კავკასიის» ფარგლებში ეგვიპტისათვის საბჭოთა კავშირის მიერ სამხედრო დახმარების აღმოჩენა ისრაელის წინააღმდეგ «დაუძლურების ომში», რომლის გაგრძელება იყო 1973 წლის ოქტომბრის ომი. ერთი სიტყვით, მოწინააღმდეგე მხარეები მომზადებული შეხვდნენ 1973 წელს.

ისრაელთან ომების ისტორიაში, ეგვიპტემ ჩამოაყალიბა ყველაზე მძლავრი სამხედრო კოალიცია.Ომის პირველ სტადიაზე როცა ინიციატივა არაბების ხელში იყო და ისრაელი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამერიკამ ისრაელს დიდძალი შეიარაღება მიაწოდა. იმავე პერიოდში საბჭოთა კავშირმაც დაიწყო არაბული ქვეყნების მომარაგება შეიარაღებით. ასეთი ვითარების ფონზე სადათმა გადაწყვეტა ცეცხლის შეწყვეტა, ვინაიდან იგი მიხვდა, რომ უკვე ისრაელს კი არ ებრძოდა, არამედ ამერიკას, ხოლო ეგვიპტეს ომის წარმოება აშშ-სთან არ შეეძლო. არაბთა წარმატებული შეტევა შეჩერებულ იქნა და ინიციატივა ისრაელის ხელში გადავიდა, რაც დამთავრდა ეგვიპტის III არმიის ალყაში მოქცევით.

შექმნილ ვითარებაში სსრკ-მ დაუყოვნებლივ მოითხოვა III არმიისათვის ალყის მოხსნა. ხოლო ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებმა შემოიღეს ემბარგო ნავთობის მიწოდებაზე აშშ-სა და ისრაელის მხარდამჭერი ქვეყნებისათვის. მოვლენები ისე განვითარდა, რომ კონფლიქტში ზესახელმწიფოთა ჩარევა, გადაიზარდა სსრკ-სა და აშშ-ს შორის მკვეთრ დაპირისპირებაში, რაც «ცივი ომის» პერიოდში ხშირ ხასიათს ატარებდა. კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომის დაწყების ზღვარზე იდგა ისევე, როგორც 1962 წლის კარიბის კრიზისის დროს. მხოლოდ ორივე ქვეყნის დიპოლომატიური ძალისხმევის შედეგად (აშშ-მ ზეწოლა მოახდინა ისრაელზე) აცილებულ იქნა დიდი კონფრონტაცია და მსხვილმაშტაბიანი კონფლიქტი.

სომარი მოქმედებები შეწყდა, მაგარამ სამხედრო თვალსაზრისით ეს იყო უცნაური ომი. ეგვიპტელებმა, რომლებიც უპირატესობას ფლობდენ სამხედრო თვალსაზრისით, თავდაცვის ტაქტიკა აირჩიეს. მაგრამ, სადათისათვის მიტაცებული ტერიტორიის უმნიშვნელო ნაწილის დაბრუნებაც კი (სტრატეგია შემოიფარგლებოდა მხოლოდ სუეცის არხის გადაკვეთით), საგრძნობლად გააუმჯობესებდა მის პოზიციებს ისრაელთან მომდევნო დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე. სადათის მთავარ მიზანს აშშ-სა და ისრაელისათვის ძალის დემონსტრირება წარმოადგენდა და არა ომში გამარჯვება, მათ მიერ რიგ დათმობაზე წასვლის მიზნით. სადათი ბრწყინვალედ ხედავდა, რომ სანამ ისრაელის უკან აშშ იდგა მასზე გამარჯვება შეუძლებელი იყო. იგი ხვდებოდა, რომ კრიზისების პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა გასაღები აშშ-ს და არა სსრკ-ს ხელშია. ამის შედეგად 1973 წლის ომმა შეცვალა ახლო აღმოსავლეთში არსებული ძალთა სტრატეგიული ბალანსი აშშ-ს სასარგებლოდ. თუ განვიხილავთ ომის შედეგებს ეგვიპტის შიდაპოლიტიკურ მდგომარეობაზე გავლენის თვალსაზრისით, სადათმა მოახერხა ოპოზიციასთან ბრძოლაში თავისი პოზიციების საგრძნობლად გამყარება. საერთაშორისო ასპარეზზე კი მიღწეულ იქნა ეგვიპტის შემდგომი დაახლოვება აშშ-სთან.

მესამე თავი:
სადათის პროამერიკული პოლიტიკა და მისი შედეგები

ნაშრომის მესამე თავი _ «სადათის პროამერიკული პოლიტიკა და მისი შედეგები» სამი ქვეთავისაგან შედგება: ა) ღია კარის პოლიტიკა და სოციალურ-პოლიტიკური ვითრება ეგვიპტეში ბ) სადათის ვიზიტი იერუსალიმში და კემპ-

დევიდის მოლაპარაკების პროცესი გ) შეთანხმებების მნიშვნელობა და არაბული ქვეყნების რეაქცია.

პირველში განხილულია ის პროცესი, რამაც ხელი შეუწყო ომის შემდეგ ეგვიპტის, როგორც არაბულ აღმოსავლეთში სსრკ-ს მოკავშირის, აშშ-ის ძირითად პარტნიორად გადაქცევას. უკვე მაშინ სადათის გამოსვლებში და მის გარემოცვაში თანდათან სულ უფრო ისმოდა «წარსულის პერიოდის შეცდომების გამოსწორების» სიტყვები. სადათმა აიღო კურსი საბაზრო ეკონომიკის განვითარებისაკენ. მთავრობის მიერ მიღებულ იქნა პროგრამა _ «ოქტომბრის სამუშაო დოკუმენტი», რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის განვითარების ძირითად მიმართულებებს და რომლის ძირითად პრინციპად გამოცხადებულ იქნა «ღია კარის» (Infitah) პოლიტიკა.

სადათი ცდილობდა თავისი რეჟიმისათვის დემოკრატიული ფასადი მიეცა. მაგრამ ხელისუფლება მთლიანობაში პრეზიდენტის ხელში იყო, რომლის მთავარ მხარდამჭერ და საყრდენ ძალას არმია წარმოადგენდა.

მეორე ნაწილი «სადათის ვიზიტი იერუსალიმში და კემპ-დევიდის მოლაპარაკების პროცესი» ეხება სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხის განხილვას.

მიუხედავად აშშ-ის მხარდაჭერისა, სადათი 1977 წელს ჯერ კიდევ ბევრი პრობლემის წინაშე იდგა. ეგვიპტემ მიიღო მიწები სუეცის არხის აღმოსავლეთით, მაგრამ სინას დანარჩენი ნაწილი ჯერ კიდევ ისრაელის ჯარების მიერ იყო დაკავებული. ვინაიდან ეგვიპტესა და ისრაელს შორის ჯერ კიდევ მშვიდობა საბოლოდ არ იყო დამყარებული, კონფლიქტის განახლების საშიშროება ისევ იყო და უცხოური კომპანიები არ ჩქარობდენ ინვესტიციების დაბანდებას. შექმნილ საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების ფონზე სადათმა დაიწყო გამოსავალის ძებნა. ის მიხვდა, რომ გადაარჩენდა მხოლოდ ან ომი, ან სინას დაბრუნება. სწორედ ამ გარემოებამ აიძულა იგი დაეწყო მოლაპარაკებები ისრაელთან.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰ.კისინჯერმა მაშინ განაცხადა: «არაბებს შეუძლიათ მიიღონ იარაღი რუსებისგან, მაგრამ თავიანთი ტერიტორიების უკან დაბრუნება შეუძლიათ მხოლოდ ჩვენი დახმარებით». 1974 წლის დასაწყისში დაიწყო პირველი რაუნდი კისინჯერის «მაქოს დიპლომატიისა» რომლის შედეგად ხელი მოეწერა ისრაელსა და ეგვიპტეს შორის ორ ხელშეკრულებას ჯარების დაშორიშორების შესახებ. ერთი სიტყვით, იქმნებოდა საერთო პლატფორმა, რომელიც აძლევდა საშუალებას სადათს და ისრაელის პრემიერ-მინისტრს მენაჰემ ბეგინს ახლო აღმოსავლეთის პროცესის მკვდარი წერტილიდან დაძვრისათვის. ეგვიპტესა და ისრაელს შორის მუდმივი კონტაქტების დამყარების ფონზე სადათმა გადადგა ისტორიული ნაბიჯი და 1977 წლის 19 ნოემბერს ჩავიდა იერუსალიმში, სადაც გამოთქვა მზადყოფნა ისრაელთან სამშვიდობო ზავის დადებაზე. მხარეებს შორის დაიწყო ინტენსიური მოლაპარაკებები ახლო აღმოსავლეთის პრობლემის და ორმხრივი ურთიერთობების მთელი კომპლექსის მოგვარების საქმეში.

იმისათვის, რომ მხარეებს გადაელახა არსებული სიძნელეები აშშ-ს პრეზიდენტ ჯ. კარტერის ინიციატივით, 1978 წლის 17 სექტემბერს კემპ-დევიდში, ისრაელის პრემიერ-მინისტრის მენახემ ბეგინსა და ეგვიპტის პრეზიდენტ ანვარ სადათის მონაწილეობით შედგა მოლაპარაკებები. აქ ხელი მოეწერა ორ დოკუმენტს _ «ჩარჩო-ხელშეკრულება ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო შეთანხმების დამყარებისათვის» და «ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო ჩარჩო-ხელშეკრულება». კემპ-დევიდის შეთანხმებები საფუძვლად დაედო ისრაელსა და ეგვიპტეს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილ იქნა ვაშინგტონში 1979 წლის

26 მარტს თეთრი სახლში. 30 წლის დაპირისპირებისა და ხუთი ომის შემდეგ ისრაელმა და ეგვიპტემ დიდი ზარ-ზეიმით ხელი მოაწერეს ისტორიულ შეთანხმებას, რის შედეგად ეგვიპტემ დაიბრუნა სინას ნახევარკუნძული. ერთი თვის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკებები ე.წ. «გადადებული სტატუსის» საკითხებზე, კონკრეტულად კი, პალესტინის ავტონომიისა, დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში «თვითმმართველობის ორგანოებში» არჩევნების წესის შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არჩევნების გამართვასთან დაკავშირებული კომისიის ჩამოყალიბებაზე. მაგრამ მოლაპარაკებებს სირთულეებიც ახლდა, რომელიც გამოიხატა ისრაელის პოზიციაში _ იერუსალიმი დარჩეს ისრაელის განუყოფელი ნაწილი. არ იყო გადაწყვეტილი გოლანის მაღლობების და დასავლეთ სანაპიროს საკითხიც. საკვანძო პრობლემების განხილვა გადადეს სამომავლოდ.

სამშვიდობო შეთანხმებამ ეგვიპტესა და ისრაელს შორის დიდი რეზონანსი გამოიწვია როგორც ახლო აღმოსავლეთის, ისე მსოფლიო პოლიტიკურ წრეებშიც. ეს იყო პირველი «მშვიდობის ფარგლების» საფუძველზე დადებული არაბეთ-ისრაელის ხელშეკრულება. ოკუპირებული მიწების დაბრუნებისა და პალესტინელთა უფლებების საკითხში საერთო არაბული პიზიციიდან ეგვიპტის გამოსვლა, არაერთხელ დამოწმებული თვით ეგვიპტის მიერ, სერიოზულად ართულებდა არაბთა მდგომარეობას, რადგანაც ისინი დარჩნენ ძლიერი არაბული ქვეყნის მხარდაჭერის გარეშე. ეგვიპტე, რომელიც არაბული სამყაროს გაერთიანების მოძრაობას მეთაურობდა თვითონ აღმოჩნდა სრულ იზოლაციაში. იგი გარიცხეს არაბულ სახელმწიფოთა ლიგიდან და სხვა კოლექტიური ორგანიზაციებიდან.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ არაბ-ისრაელის კონფლიქტის ზონა იყო ყველაზე «მგძნობიარე» რეგიონალური საერთაშორისო ურთიერთობებისათვის, გახდება ნათელი თუ რა მნიშვნელოვანი იყო რეგიონში მშვიდობის დამყარების ნებისმიერი მცდელობა. არა აქვს მნიშვნელობა, რა მოტივებმა აიძულეს ანვარ სადათი არაბი ლიდერებიდან პირველს დაენგრია უნდობლობის კედელი არაბებსა და ებრაელებს შორის და დაეწყო მოლაპარაკება ეგვიპტე-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესახებ. პოლიტოლოგების დიდი ნაწილი სწორედ ამაში ხედავს კემპ-დევიდის პროცესის ისტორიულ მნიშვნელობას.

მე-XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსათვის ახლო აღმოსავლეთში არსებული სტრატეგიული ბალანსი ამერიკის სასარგებლოდ შეიცვალა, რასაც მოყვა რეგიონში საბჭოთა პოზიციების მნიშვნელოვანი შესუსტება, სსრკ-ს ეგვიპტიდან «წასვლა». საბჭოთა კავშირი ამ პროცესებში დამკვირვებელისა და კრიტიკოსის როლს ასრულებდა. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი მთლიანად წავიდა რეგიონიდან, ვინაიდან გრძელდებოდა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა სირიასთან, ლიბანთან, ერაყთან და სხვა სახელმწიფოებთან.

მეოთხე თავი:

რელიგიური ექსტრემიზმი ეგვიპტეში და ანვარ სადათის მკვლელობა

მეოთხე თავი _ «რელიგიური ექსტრემიზმი ეგვიპტეში და ანვარ სადათის მკვლელობა» მოიცავს ორ ქვეთავს: ა) ისლამური ფუნდამენტალიზმი ეგვიპტეში სადათის მმართველობის პერიოდში და ბ) ანვარ სადათის მკვლელობა.

ზოგიერთი ეგვიპტელის მიერ ტერიტორიების დაბრუნება, არა განმანთავისუფლებელი ომის, არამედ დაუძინებელ მტერთან «დამამცირებელი

შეთანხმების» საფუძვლად აღიქმებოდა და პირად შეურაწყოფად მიიჩნეოდა. პალესტინის საკითხების მოუგვარებლობამ და სეპარატული მშვიდობის დამყარებამ ეგვიპტურ საზოგადოებაში რადიკალური უარყოფითი დამოკიდებულება დათესა, განსაკუთრებით ფუნდამენტალისტთა წრეებში. ქვეყანაში ჯერ კიდევ ეკონომიკური რეფორმებით უკმაყოფილო ხალხის გამოსვლების ჩახშობის შემდეგ, ახალი აღელვების ტალღა აგორდა, რომელიც უკვე პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა.

დაიწყო რადიკალური ისლამური მოძრაობების გამოსვლა სადათის რეჟიმის წინააღმდეგ. ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ მუსლიმთა ექსტრემიზმი კოპტებთან მიმართებაშიც გაიზარდა, რომლებიც კომუნისტებსა და ებრაელებთან ერთად ეგვიპტის მთავარ მტრებად გამოაცხადეს.

1981 წლის გაზაფხულისათვის ერთ-ერთმა არალეგალურმა ისლამურმა ორგანიზაციამ ანვარ სადათს სიკვდილი მიუსაჯა, ისლამის, ეგვიპტის ხალხისა და არაბი ერის წინააღმდეგ დანაშაულებრივი საქმიანობის გამო. სსრკ-სა და არაბულ ქვეყნებში მოღალატედ შერაცხული ანვარ სადათის ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა _ ის მოკლულ იქნა სამხედრო აღლუმზე 1981 წელს რადიკალური დაჯგუფების «ჯამია ალ-ისლამიას» ორგანიზაციის წევრების მიერ.

სადათის მკვლეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი მოვლენა ბურუსით არის მოცული. ჯერ კიდევ არ გაეცა პასუხი კითხვას, თუ ვინ იდგა ტერორისტთა ჯგუფის უკან. არასოდეს ეგვიპტის ისტორიის მანძილზე არცერთი პილიტიკური მკვლელობა არ იყო ასე გათვლილად ჩატარებული. აღნიშნულ საკითხის გარკვევაში უამრავი კითხვები და ვერსიები დაიბადა. მსოფლიოს სხვადასხვა მკვლევარი დღესაც განიხილავს მკვლელობის ამერიკული, საბჭოთა, ირანული, არაბული და სხვა ვერსიებს. მაგრამ, სადათის მოშორების რეალური სურვილი შეიძლება უფრო საბჭოთა კავშირს ჰქონოდა, ვინაიდან სადათი გადავიდა დასავლეთის მხარეზე. არ არის გამორიცხული, რომ ამ მკვლელობაში არაბი ლედერების ხელიც ურევია (სსრკ-ს დახმარებით).

თავისი ექსტრემიზმით ფუნდამენტალისტებმა პრინციპში ვერ შეცვალეს ვერაფერი და ვერ ჩამოაყალიბეს ფართო ოპოზიცია არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ სადათის მკვლელობამ შეიტანა ეგვიპტის პოლიტიკურ კურსში გარკვეული კორექტირება, რომელსაც უხელმძღვანელა ახალმა პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა.

მეხუთე თავი:
ჰოსნი მუბარაქის მოსვლა ხელისუფლების სათავეში და აშშ-ს პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში

მეხუთე თავი «ჰოსნი მუბარაქის მოსვლა ხელისუფლების სათავეში და აშშ-ს პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში», შედგება ორი ქვეთავისაგან: ა) «ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის პოლიტიკა 80-90-ანი წლების მიჯნაზე» და ბ) «ეგვიპტისა და აშშ-ს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე». იგი ეხება XX ს. 80-90-იანი წლების მიჯნაზე და ახალი ათასწლეულის დასაწყისის პერიოდში ეგვიპტეში განვითარებულ მოვლნებს.

როცა ვიცე-პრეზიდენტი მუბარაქი ქვეყნის სათავეში მოვიდა, ეგვიპტის მდგომარეობა რთული იყო, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. სადათის მკვლელობამ გამოიწვია ეგვიპტის პოლიტიკური კურსის არსებითი ცვლილება. ამიტომ ქვეყნის საშინაო საქმეებში

ყურადღება გადაიტანეს ეკონომიკის აღორძინებაზე. გასული საუკუნის 80-90-ან წლების პერიოდში ეგვიპტე სწრაფი ტემპებით გადავიდა ეკონომიკის სახელმწიფო კონტროლის პოლიტიკიდან ქვეყნის ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეჟიმის «მუსლიმური იმიჯის» შენარჩუნებას, შიდაპოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას ხელი უწყობდა ეგვიპტური ხელმძღვანელობის კურსი ე.წ. საზოგადების «დოზირებულ» დემოკრატიზაციაზე.

დღეისათვის მუბარაქის მემკვიდრის ვინაობის საკითხი ბუნდოვანია. სადათის მკვლეობის შემდეგ მოსული მუბარაქი უცვლელი პრეზიდენტია და ამ ხნის მანძილზე მის ხელისუფლებში ვიცე-პრეზიდენტის პოსტი შეიძლება ითქვას რომ გაუქმებულია. ეგვიპტის ისტორიაში 2005 წლის პირველი ალტერნატიული საპრეზიდენტო არჩევნებში მუბარაქის გამარჯვება, მეტყველებს იმაზე, რომ არსებული რეჟიმი არავის წინაშე ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს.

სადისერტაციო ნაშრომის ბოლო ქვეთავი «ეგვიპტესა და აშშ-ს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე» მოიცავს აშშ-ეგვიპტის ურთიერთობებს და ეგვიპტის მონაწილეობას სამშვიდობო პროცესში.

ეგვიპტის პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე ან სხვა საკითხებზე საუბრისას, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ეგვიპტის მთავარი სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ს როლი. თუმცა აღნიშნული ურთიერთობები დღეს ბევრად განსხვავებულია და უფრო ორმხრივ თანამშრომლობაზეა დამყარებული, ვიდრე სადათის დროს, რომელიც უპირობოდ იზიარებდა აშშ-ს პოლიტიკას.

თავდაპირველად, მუბარაქის საგარეო-პოლიტიკურმა კურსმა ეგვიპტის იზოლაციას არაბული სამყაროდან ბოლო მოუღო. მან გაამკაცრა ისრაელთან ურთიერთობები და აღადგინა მეგობრული დამოკიდებულება სსრკ-სთან. თუმცა თავიდანვე ჩანდა, რომ სადათის მიერ არჩეული კურსი აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობა გაგრძელდებოდა. ყოველწლიურად ეგვიპტე ღებულობს 2 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობით ამერიკულ დახმარებას. ასეთი ფინანსური ჩადინებები ეგვიპტისათვის «გადამრჩენი წრეა» და აკავებს მის ეკომომიკას ჩაძირვისაგან. კემპ-დევიდის შეთანხმებებით ეგვიპტემ, მართალია მიიღო სინას ნახევარკუნძული და აშშ-ს დახმარება. მაგრამ მას ასევე მოყვა ეკონომიკური და სამხედრო ზეწოლა ვაშინგტონის მხრიდან. სწორედ ეს არის კემპ-დევიდის შეთანხმებების მედლის ის მეორე მხარე, რომელიც ზეწოლას ახდენს ეგვიპტის პრესტიჟზე.

ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის გავლენიანი და წამყვანი სახელმწიფოა. იგი აქტიურად მონაწილეობს რეგიონის ყველა მნიშვნელოვან და განსაკუთრებულად პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, რომელიც წარმოადგენს ეგვიპტის საგარეო პოლიტიკის ძირითად საზრუნავს. ეგვიპტის კონსტრუქციული და სწორად გათვლილი დელიკატური მიდგომა რეგიონის პრობლემებისადმი დადებით ზეგავლენას ახდენს არაბ-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე. ამიტომ, მუბარაქი საეთაშორისო ასპარეზზე გავლენიან პოლიტიკურ ფიგურად მიიჩნევა. ბოლო წლებში ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა, კიდევ ერთხელ დაადასტურეს ეს აზრი. არაბული სამყაროს წამყვანი ქვეყანა თანახმაა ნებისმიერ კონსტუქციულ წინადადებაზე, რომელიც ხელს შეიწყობს ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობის დამყარებას. მუბარაქის აზრით: «მშვიდობა, სტრატეგიული არჩევანია ყველასათვის».

მართალია XXI ს. დასაწყისში, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა არ დამყარდა, მაგრამ ეგვიპტესა და ისრაელს საშუალება მიეცა გამხდარიყვნენ რეგიონის საკვანძო ქვეყნები.

დ ა ს კ ვ ნ ა :

ახლო აღმოსავლეთის რეგიონალურ სისტემაში ეგვიპტეს ტრადიციულად მიიჩნევენ არაბული სამყაროს ლიდერად, რაც პირველ რიგში განპირობებულია მისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით. ორი კონტინენტის გასაყარზე განლაგებული «ფარაონთა ქვეყანა» წარმოადგენს აზიისა და აფრიკის ქვეყნების კულტურების დამაკავშირებელ რგოლს. გარდა ამისა ეგვიპტე გამოიყოფა რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების მაღალი დონით, ძლიერი სამხედრო პოტენციალით და დემოგრაფიული რესურსებით.

ეგვიპტის პირველი პრეზიდენტი გამალ აბდ ან-ნასერი, არაბული პანარაბიზმის აღიარებული ბელადი გახდა, მაგრამ ნასერის გარდაცვალებას მოჰყვა სოციალურ-ეკონომიკური და საგარეო-პოლიტიკური კურსის არსებითი ცვლილებები.

ეგვიპტის მეორე პრეზიდენტის ანვარ ას-სადათის წინ იდგა მეტად რთული ამოცანა _ საბჭოთა გავლენის სფეროებიდან გამოსვლის შემდეგ, ეგვიპტე არ აღმოჩენილიყო დასავლეთის მორჩილი მხარდამჭერი. ამ მიზნის მისაღწევად სადათის მხრიდან საჭირო იყო ეგვიპტის სამხედრო ძალის დემონსტრირება ისრაელთან სამხედრო დაპირისპირებაში (ეს საჭირო იყო ასევე პრეზიდენტის რეიტინგის ამაღლებისათვის ქვეყანაში, რაც გაუადვილებდა მას «ნასერის კურსიდან» გადახვევას).

სადათის ინიციატივით დაწყებულ მეოთხე არაბ-ისრაელის ომში, ეგვიპტის არმიამ, საბჭოთა და სხვა არაბი ქვეყნების მხარდაჭერის მეშვეობით აჩვენა თავისი სიძლიერე. ვინაიდან სადათს ხელს არ აძლევდა ისარელის დამარცხება (ეს ხელს შეუშლიდა მის დაახლოებას აშშ-სთან და დასავლეთთან), ხელი შეუშალა ისრაელის წინააღმდეგ წარმატებული სამხედრო ოპერაციის ჩატარებას. ისრაელზე მორალური და პოლიტიკური გამარჯვების მოპოვების შემდეგ, იგი წყვეტს კავშირს საბჭოეთთან, რაც იყო აუცილებელი პირობა დასავლეთთან დაახლოებისათვის.

ნასერის მემკვიდრის მმართველობის პერიოდში განხორციელებულმა კარდინალურმა ცვლილებებმა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში (შეერთებულ შტატებთან კავშირი, ისრაელთან მშვიდობის დამყარება და საერთო არაბული ინტერესების იგნორირება) ძლიერი დარტყმა მიაყენა ეგვიპტის პრესტიჟს არაბულ სამყაროში, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის თვალში. ამ გარემოებამ გამოიწვია ეგვიპტის სრული იზოლაცია არაბულ სამყაროდან, დაჩქრდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება ქვეყანაში, ხელი შეუწყო ისლამური ფუნდამენტალიზმის გაღვივებას და სადათის მკველობას. ისრაელთან მშვიდობიანი მოწესრიგების პოლიტიკის გატარების დადებითი როლი დღეს უკვე აღიარეს არაბულმა ქვეყნებმა. კემპ-დევიდის ხელშეკრულებებმა საფუძველი ჩაუყარეს ღრმა ისტორიულ პროცესს, რომლის შემდეგ არ იქნა მოფიქრებული და განხორციელებული სხვა რეალური გეგმა კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში. სამშვიდობო შეთანხმების ხელმოსაწერად გამოყენებული პრინციპი «მშვიდობა ტერიტორიის სანაცვლოდ», დღესაც წარმოადგენს ძირითად კომპონენტს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარების საქმეში ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ახალმა პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა

შეინარჩუნა საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, მაგრამ ანვარ სადათის მკვლელობის შემდეგ ქვეყნის რთული მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით მან დასახა საშინაო პოლიტიკაში ეკონომიკის აღორძინების ახალი კურსი.

საგარეო-პოლტიკურ ასპარეზზე ძირითად ამოცანად მას მიაჩნია ეგვიპტის დაბრუნება არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში და აქტიური თანამშრომლობა არაბულ ქვეყნებთან. მუბარაქი აგრეთვე მხარს უჭერს კემპ-დევიდის შეთანხმებათა პრინციპებს და ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმებას. ამჟამად ეგვიპტე წარმოადგენს აშშ-ს ძირითად სტრატეგიულ მოკავშირეს არაბულ აღმოსავლეთში. ამავე დროს ეგვიპტეს მიერ საერთო არაბული ინტერესების გათვალისწინებით, ისრაელითან ურთიეთობები «ცივი მშვიდობის» ხასიათს ღებულობს. აშშ-სთან მჭიდრო კავშირებმა, იასირ არაფატთან დაახლოებამ, ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმებამ ხელი შუწყო ეგვიპტეს ეთამაშა შუამავლის როლი არაბ-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ «მუბარაქის ეპოქა» ეგვიპტეში კვლავ გრძელდება. როგორც ცხადყო ამ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის 25 წლიანმა მმართველობამ, მის მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის სულ უფრო მზარდი ავტორიტეტი, ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური დონის ამაღლება, რომელიც თავის მხრივ უმეტესად უზრუნველყოფს სტაბილურობას მთელს ახლო აღმოსავლეთში. თუ გავითვალისწინებთ რეგიონალური პრობლემების მთელ სირთულეს, ასეთი პოლიტიკური გამოცდილების არსებობის აუცილებლობა სავსებით სარწმუნო და ძლიერი არგუმენტია. ეგვიპტის თანმიმდევრული და ზომიერი პოლიტიკა საერთაშორისო ასპარეზზე მსოფლიო საზოგადოებაში კვლავ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები

გამოქვეყნებულია შემდეგ ნაშრომებში:

1. ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის სახელმწიფო მართვის ძირითადი სტრატეგიის შესახებ, პერსპექტივა XXI (IV), თბილისი 2002, გვ. 132-135
2. ეგვიპტის როლი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში, პერსპექტივა XXI (V), თბილისი 2003, გვ. 96-99
3. აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ძირითადი სტრატეგიის შესახებ 1973 წლის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში, აღმოსავლეთი და კავკასია № 3, თბილისი, 2005, გვ. 223-228
4. ეგვიპტის საგარეო-პოლიტიკური კურსის ძირითადი ცვლილებების შესახებ მე-XX საუკუნის 70-იან წლებში, პერსპექტივა XXI, თბილისი, 2005 (იბეჭდება)